საჩვენებელი / სამოდელო კითხვა

მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, უსვამს შეკითხვებს ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ, წაკითხვის პროცესში კი ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით ახდენს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის დემონსტრირებას.



კლასი: I-III

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი ან მცირე ჯგუფი

რესურსი: მოსწავლეების ცოდნის შესაბამისი დონის მხატვრული ან საინფორმაციო ტექსტი.

მსვლელობა

საფეხური 1. წასაკითხი წიგნის/ტექსტის წინასწარი მიმოხილვა. უშუალოდ კითხვის პროცესზე გადასვლამდე მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს წასაკითხი წიგნის სათაურს, აჩვენებს ყდას, ილუსტრაციებს და წარმართავს ხანმოკლე საუბარს მოსწავლეთა მოლოდინებისა და შთაბეჭდილებების შესახებ.

საფეხური 2. საჩვენებელი კითხვა. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს ხმამაღლა, მკაფიოდ, გამომეტყველებით. გზადაგზა ჩერდება, სვამს წაკითხულ მონაკვეთთან დაკავშირებულ შეკითხვებს, განმარტავს ბუნდოვან სიტყვებსა და ფრაზებს, გამოათქმევინებს მოსწავლეებს ვარაუდებს და ა.შ. ამგვარად კითხულობს მასწავლებელი მთელ ტექსტს.

შენიშვნა: კითხვის დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ხელახლა უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს, კვლავ ჩერდება მონაკვეთების წაკითხვის შემდეგ, ცვლის შეკითხვებს და ეხმარება მოსწავლეებს, უფრო სიღრმისეულად დაუკვირდნენ ტექსტის დეტალებს.

საფეხური 3. წაკითხული ტექსტის შეჯამება. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები გადმოსცემენ წაკითხულს (ხატვით, ზეპირად ან წერილობით, საჭიროების მიხედვით). მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად საუბრობს მათ ნამუშევრებზე და შეკითხვების მეშვეობით წარმართავს ტექსტის შესახებ მსჯელობას/დისკუსიას.